



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 თებერვალი 2025



N 83/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქ. რუსთავში, შპს „სტანდარტის“ ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სტანდარტმა“ (ს.ნ. 416358266) 2024 წლის 29 აპრილს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქ. რუსთავში, ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N249/ს; 16/05/2024) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ მიერ.

2023 წლის 22 ივნისს შპს „სტანდარტის“ ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (N281/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წელს შპს „სტანდარტის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N16; ბრძანება 108/ს 20.02.2024).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/7918; N21/12042), შპს „სტანდარტის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილები N10212 და N327). კერძოდ: დაზუსტებული Shp ფაილები, ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურით გამოწვეული მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, შერჩეული ტექნოლოგიის ალტერნატივის დასაბუთება, დაზუსტებული

ინფორმაცია გადასამუშავებელი ნარჩენებისა და წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ, ზეთის შეგროვება/შემოტანის შესახებ ინფორმაცია, ნარჩენების მართვის გეგმა, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვისა და საწარმოს ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა. ასევე წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების კორექტირებული პროექტი. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანებები N604/ს 23.10.2024; 19/ს 22.01.2025), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადები.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2024 წლის 15 იანვარს განხორციელდა ქ. რუსთავში განთავსებული შპს „სტანდარტის“ კუთვნილი ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი საწარმოსთვის განკუთვნილი ტერიტორიის ინსპექტირება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განახორციელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. გამოვლენილ დარღვევებზე შპს „სტანდარტის“ მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084221 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია მხოლოდ არაქმედების და ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. რაც შეეხება ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ პროცესს, იგი ითვალისწინებს გადასამუშავებელი ზეთის გაცხელებას, რომლის დროსაც ემატება ბენტონიტი. დოკუმენტაციის თანახმად, შერჩეული ტექნოლოგია ბენტონიტს ზეთის აღსადგენად ეფექტურ, ხელმისაწვდომ და ეკოლოგიურად სუფთა საშუალებად აქცევს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „სტანდარტის“ ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. №9-ში, სს „სარინის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23400 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის (ს/კ: 02.05.03.698) ნაწილზე (1000 მ<sup>2</sup> ფართობი), რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „სტანდარტის“ სარგებლობაშია. საწარმოს განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-502845, Y-4600584; X-502836, Y-4600577; X-502831, Y-4600567; X-502826, Y-4600560; X-502832, Y-4600552; X-502831, Y-4600544; X-502839, Y-4600533; X-502859, Y-4600545; X-502855, Y-4600571. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 150 მეტრით, ხოლო უშუალოდ საწარმოო ხაზიდან - 210 მეტრით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) მდებარეობს საწარმოდან დაახლოებით 2 კილომეტრის დაშორებით. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს შპს „ჯეო ფილერის“ ფილერის საწარმო და შპს „სთეინლესის“ ლითონის კარების დამამზადებელი საამქრო. ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 450 მეტრში მდებარეობს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი საწარმო, ხოლო ჩრდილოეთით - 260 მეტრში შპს „ფოლადკონსტრუქციის“ ლითონის დამამუშავების და ლითონის კონსტრუქციების საწარმო და შპს „ჯი ტრანსი“, რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო გადამზიდავი კომპანიის სასაწყობო ბაზას. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ასევე მდებარეობს შპს „ჯეორჯიან ინთერნეიშენალ სერვისის“ და სს „კომპლექტის“ სასაწყობო ფართები. ხოლო სამხრეთ-დასავლეთით განთავსებულია შპს „კანოს“ ლითონის კონსტრუქციების საწარმო და ამავე ნაკვეთზე იჯარით აღებულ ტერიტორიაზე - შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ კაუსტიკური სოდის საწარმო.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია ნარჩენი ზეთების მიღება, დროებით განთავსება და აღდგენა. საწარმო იმუშავებს წელიწადში 260 დღე (თვეში 22 დღე), დღის განმავლობაში 8-10 საათი. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის დღიური წარმადობა იქნება 4 მ<sup>3</sup> ნარჩენი ზეთის გადამუშავება და 3 მ<sup>3</sup> პროდუქტის/ზეთის წარმოება (ნარჩენი ზეთის 75%). თვის განმავლობაში (22 დღ x 3 მ<sup>3</sup>) მიღებული პროდუქციის რაოდენობა იქნება დაახლოებით 66 მ<sup>3</sup>, წლის განმავლობაში 780 - 792 მ<sup>3</sup>.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია. ობიექტის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ერთეულებია: 2 რეაქტორი; პრესფილტრი; ავზები (კომპრესორის რესივერი, 2 კონდენსატის ავზი); მზა პროდუქციის საცავი; მაცივრები; სეპტიკი; ნედლეულის საცავი; ბენტონიტის საწყობები (ორი 30 ტონიანი კონტეინერი); სახელოსნო (ინსტრუმენტების საწყობი); საკვამლე მილი (არსებული); გასახდელები და სველი წერტილები; წყლის აგრეგატი, სანიაღვრე ღია ტიპის არხი; ოფისი. წარმოდგენილი ინფორმაციით, სს „სარინის“ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს საკვამლე მილი, საოფისე შენობა, გასახდელი, სველი წერტილები და წყლის აგრეგატი. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობები, წარმოებულია ირანში სპეც-შეკვეთით. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს უსაფრთხო ოპერირების მიზნით, ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება მხოლოდ დანადგარ-მოწყობილობების ტექნიკური გამართულობის შემოწმების შემდეგ.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ბენტონიტის შემოტანა დაგეგმილია საზღვარგარეთიდან (კერძოდ ირანიდან), 25-27 კგ დაფასოებული ტომრების სახით და განთავსება მოხდება შესაბამის საწყობებში, საიდანაც საჭიროებისამებრ, ხელის ურიკით და ელექტროტელფერის საშუალებით ბენტონიტი მიეწოდება რეაქტორის მიმღებ ბუნკერს. ობიექტის ნარჩენი ზეთებით მომარაგება მოხდება ადგილობრივი ბაზრიდან. დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შპს „სტანდარტის“ მიერ მოხდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციაში გაწევრიანება და შესაბამისად, ნედლეულის შემოტანა დაგეგმილია ამავე ორგანიზაციის წევრებისგან. ნარჩენი ზეთები ობიექტზე შემოვა როგორც ავტოტრანსპორტით, ისე კასრებით და 30 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ტუმბოს მეშვეობით გადაიტვირთება მიწისზედა 54 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარში, საიდანაც ტუმბოსა და 63 მმ დიამეტრი მილების საშუალებით გადაიქაჩება N1 რეაქტორში (8 მ<sup>3</sup> მოცულობის ჰერმეტიულად დახურული ლითონის ავზი). რეაქტორში მოხდება ზეთების რეგენერაციის ძირითადი პროცესი. რეაქტორი იმუშავებს ბუნებრივ აირზე. რეაქტორში იტვირთება 4 მ<sup>3</sup> მოცულობის ზეთი, რომელსაც ემატება ბენტონიტი. დალექვის თავიდან ასაცილებლად, განხორციელდება მიღებული მასის უწყვეტი მორევა და გაცხელება. საჭირო ტემპერატურა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა ზეთის ტიპი, დაბინძურების ხარისხი და სხვა. შესაბამისად, საჭირო ტემპერატურის (150°C-დან 380°C-მდე) მიღწევის შემდეგ, გაცხელებული მასა, გადავა მაცივარში (16 მ<sup>3</sup> მოცულობის ავზი), სადაც ჯერ ცივდება წყლით, ხოლო შემდეგ გადის ჰაერით გამაციებელ მაცივარს. გაცივების შემდეგ დარჩენილი სითხე იკრიბება 1,5 მ<sup>3</sup> მოცულობის 2 ავზში, სადაც ხდება წყლის დალექვა და მოშორება. აღნიშნულის შემდეგ, ნარჩენი ზეთების აღდგენის პროცესი გრძელდება N2 რეაქტორში, საიდანაც ზეთები ტუმბოს მეშვეობით გასაფილტრად მიეწოდება პრესფილტრს. პრესფილტრიდან გამოსული სუფთა ზეთი თვითდინებით გადავა 11 მ<sup>3</sup> მოცულობის სუფთა ზეთის მიმღებ საცავში (ავზში). მიღებული პროდუქციის შემდგომი რეალიზაცია გათვალისწინებულია სუფთა ზეთის საცავიდან, რომელიც იდენტურია სუფთა ზეთის მიმღები საცავის და რომლის მოცულობაც 11 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. რეაქტორებიდან ნამწვი აირები შედის 18 მ სიმაღლის და 630 მმ დიამეტრის საკვამლე მილში და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია ნარჩენი ზეთების აღდგენა (კოდით R9) და დროებითი განთავსება (კოდით R13). საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ 54 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარში მოხდება მხოლოდ ერთი სახის ზეთის შევსება. საწარმოს ტერიტორიაზე სხვა სახის ზეთის

შემოტანა არ მოხდება იქამდე, სანამ არ დაიცვება ერთი სახეობის ზეთით შევსებული რეზერვუარი. საწარმოს ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე შესაძლებელია შეგროვების შესაბამისად, მოხდეს სამი სახეობის ნარჩენი ზეთის მიღება: ჰიდრავლიკური ზეთების ნარჩენი (13 01 09\* - მინერალური ქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 10\* - მინერალური არაქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 11\*- სინთეტიკური ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 12\* - ადვილად ბიოდეგრადირებადი ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 13\*- სხვა ჰიდრავლიკური ზეთები); ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები (13 02 04\* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური ქლორირებული ზეთები და ქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 05\* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 06\* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები 13 02 07\* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ადვილად ბიოდეგრადირებადი ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები 13 02 08\* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები); საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთებისა და სხვა სითხეების ნარჩენები (13 03 06\* - საიზოლაციო და თბოგადამცემი მინერალური ქლორირებული ზეთები, რომლებსაც არ ვხვდებით 13 03 01 პუნქტში; 13 03 07\* - არაქლორირებული საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები და სხვა სითხეები; 13 03 08\* - სინთეტიკური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები 13 03 09\* - ადვილად ბიოდეგრადირებადი საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები; 13 03 10\* - სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტისთვის გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: სახიფათო ნარჩენებით ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე, იქ სადაც პოტენციურად შესაძლებელია ნავთობპროდუქტების დაღვრა, მოწყობილია წვიმის წყლის შეგროვების სისტემა, შესაბამისი სანიაღვრე არხი და სეპტიკი; სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, სახიფათო ნარჩენების შენახვის ადგილი აღჭურვილია მაფრთხილებელი ნიშნებით (რომლებიც მიუთითებენ შენახულ სახიფათო ნარჩენებზე (კატეგორია, სახეობა)) და ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოწყობილობებით; სახიფათო ნარჩენების შენახვის ადგილის ქვედა ფენა (ძირი) არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და გათვალისწინებულია ნარჩენების დაღვრის/გაფანტვის რისკები და სხვა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოო ობიექტზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. ობიექტის წყალმომარაგება მოხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება არსებულ ცენტრალურ კანალიზაციის სისტემაში. სახანძრო წყლის მარაგის შექმნის მიზნით, ობიექტზე განთავსდება 5 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის ავზი, რომელიც შეივსება საჭიროებისამებრ.

ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენება მოხდება დანადგარების გაგრილებისთვის, რომელიც ჩართული იქნება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წყლის ნაწილი, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ადდგენას დაქვემდებარებულ ნარჩენ ზეთებთან, აორთქლდება გაცხელების პროცესში, ხოლო ნაწილი 1 მ<sup>3</sup> მოცულობის ორკამერიან ნავთობდამჭერი-სეპარატორის გავლით, მიეწოდება საწარმო-სანიაღვრე წყლების შემკრებ 2 მ<sup>3</sup> მოცულობის სეპტიკურ ავზს. სანიაღვრე წყლების შემკრები ღია ტიპის არხიდან წყალი ნავთობდამჭერი-სეპარატორის გავლით ასევე მიეწოდება სეპტიკურ ავზს. ნარჩენი ზეთების და მზა პროდუქციის საცავების ტერიტორიაზე მოეწყობა თუნუქის კონსტრუქციის გადახურვა, ხოლო საცავებს პერიმეტრზე გაუკეთდება ბეტონის შემოზვინვა, რომელიც ავარიული დაღვრის შეკავების მიზნით, იქნება

რეზერვუარის მოცულობაზე მეტი (რეზერვუარების ტევადობის 110%). შემოზინვის შიგნით ნედლეულისა და პროდუქციის საცავის ტერიტორიაზე შესაძლო დაღვრილი ზეთი მიეწოდება რეაქტორს, შესაბამისი აღდგენის ოპერაციებისთვის. სეპტიკური ავზიდან წყალი გამოყენებული იქნება ტექნიკური მიზნებისთვის (მათ შორის გაგრილების სისტემისთვის, სახანძრო დანიშნულებისათვის და სხვ.). ხოლო ნავთობდამჭერი-სეპარატორის მიერ დაჭერილი ზეთიანი წყალი, დაგროვების შესაბამისად, ამოღებული და გადამუშავებული იქნება საპროექტო ტექნოლოგიურ ხაზზე (ნარჩენი ზეთების აღდგენა).

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტორივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, ნაჯერი ნახშირწყალბადები  $C_{12}-C_{19}$  და ალუმინსილიკატური (ბენტონიტის) მტვერი. კუმულაციური ზემოქმედების მიზნით გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული საწარმოების, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ (ს/კ 02.05.03.372) ფოლადის სადნობი საწარმოს, შპს „ფოლადკონსტრუქციის“ (ს/კ 02.05.03.098) ლითონის დამუშავების და ლითონის კონსტრუქციების საწარმოს, შპს „კანოს“ (ს/კ 02.05.03.704) ლითონის კონსტრუქციების და ამავე ნაკვეთზე იჯარით აღებულ ტერიტორიაზე მდებარე შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ კაუსტიკური სოდის საწარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა მონაცემები. გაზნების ანგარიშში დამატებით გათვალისწინებულია ფონური მაჩვენებლები ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (125 - 250 ათასი მოსახლეობა), რომლის თანახმადაც ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც საწარმოს განთავსების 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე, ასევე უახლოესი სახლის საზღვარზე (პირდაპირი მანძილი საკადასტრო საზღვრიდან 150 მ, მაქსიმალური კონცენტრაცია ნახშირბადის ოქსიდის, ზდკ-ს წილი  $0,31$  მგ/მ<sup>3</sup>) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს. ამდენად საწარმოს ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე, ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევისთვის, საპროექტო ტერიტორიაზე შეადგენს 67 დბა-ს, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან - 25 დბა-ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის დანადგარ-მექანიზმების გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია, საწარმოს საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონეების ინსტრუმენტული მონიტორინგი და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას. ამასთან ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის.

საწარმოს საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ან/და არასახიფათო ნარჩენებისთვის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შესაბამისი კონტეინერების განთავსება, რომლებიც პერიოდულად დაიცვება და გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ქ. რუსთავის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე წარმოქმნილი როგორც მყარი, ისე თხევადი სახიფათო ნარჩენების (მათ შორის ნავთობსეპარატორის გაწმენდის შედეგად მიღებული ნალექის) დროებით შენახვა დაგეგმილია ტერიტორიაზე განთავსებულ დახურულ კასრებში/კონტეინერებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გარდა ამისა, ნავთობსეპარატორში დაგროვილი ზეთიანი წყალი, ასევე შესაძლო დაღვრილი გადასამუშავებელი ნარჩენი ზეთები შეგროვებული და დაბრუნებული იქნება ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ციკლში, შემდგომი აღდგენის პროცედურისათვის. ხოლო ტექნოლოგიური ციკლში დაგროვილი კონდენსირებული სითხე (თხელი ფრაქცია), რომელიც წარმოადგენს ნარჩენი ზეთით დაბინძურებულ სახიფათო ნარჩენს, გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას ან დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები, ხმაურის გავრცელება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. დოკუმენტაციის მიხედვით, ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო განხილული, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედებას, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ძირითადად გამოყენებული იქნება ქ. რუსთავის შემოვლითი გზები, ღამის საათებში კი აკრძალული იქნება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია დღეში 1-2 სატრანსპორტო ოპერაცია, შესაბამისად სატრანსპორტო ნაკადზე მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 21 ივნისს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „სტანდარტის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა ტერიტორიისა და ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტების განხილვას. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის ალტერნატივასთან დაკავშირებით, საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ განხილულ იქნა ორი ალტერნატიული ვარიანტი, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორებისა და სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი

ალტერნატიული ვარიანტი. ხოლო ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და ფინანსური უპირატესობების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა შესაბამისი ტექნოლოგიური ალტერნატივა. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ასევე ეხებოდა საწარმოსთვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობების საპასპორტო მონაცემებს, კუმულაციური ზემოქმედების გაანგარიშებაში მიმდებარედ არსებული ყველა საწარმოო ობიექტის გათვალისწინებას, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების საკითხს, საწარმოო პროცესში წყლის გამოყენებას, დოკუმენტში დაშვებულ ტექნიკურ ხარვეზებსა და სხვა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებები, კითხვები და შესაბამისი განმარტებები/პასუხები ასახულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი იყო სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წერილობითი შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებს. კერძოდ, შენიშვნები ეხებოდა საპროექტო ტერიტორიის ალტერნატივების განხილვის საკითხს, შერჩეული ტექნოლოგიის ალტერნატივის უპირატესობის დასაბუთებას, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოების (შპს „ჯი ტრანსი“, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი“ შპს „ფოლადკონსტრუქცია“) გზშ-ის ანგარიშში განხილვას, საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარ-მოწყობილობების უსაფრთხო ფუნქციონირებას. აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა შპს „სტანდარტის“ მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-10 პუნქტის 10.3 და 10.5 ქვეპუნქტების საფუძველზე,**

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „სტანდარტის“ ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სტანდარტმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „სტანდარტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

5. შპს „სტანდარტმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან უახლოესი სახლის საზღვარზე, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოთა, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის (GPS კოორდინატები), მონიტორინგის სიხშირის და შედეგების ყოველი წლის ბოლოს წარმოდგენის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში ასევე შეტანილი უნდა იყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელების საკითხი მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდზე (NO<sub>x</sub>), ნახშირბადის მონოქსიდზე (CO) ნაჯერ ნახშირწყალბადებზე (CH) საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „სტანდარტმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ხოლო საქმიანობა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N327 დადგენილებით დამტკიცებული „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტი“ განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების, ასევე შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
7. შპს „სტანდარტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნიკურ დანადგარებზე და სახანძრო უსაფრთხოებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;
8. შპს „სტანდარტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
9. შპს „სტანდარტმა“ ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სტანდარტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სტანდარტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.



ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/83-21-4-202502191515>

